ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 60 40

26 ივნისი 2015 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №51

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 315.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.09.25.050) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის 2014 წლის 30 მაისს გაფორმებული უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივებაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე- 2 პუნქტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის #12 დადგენილების „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“- 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 315.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.09.25.050) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის 2014 წლის 30 მაისს გაფორმებული

უზურფრუქტის ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივებაზე 2015 წლის 15 მაისიდან 2015 წლის 01 დეკემბრამდე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე